პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 224 (6279)

1978 წ. 16 ნოემბერი, ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

# ამაყი სიტყვა — „ყამირელი"

**ერთი ფოტოსურათის კომენტარი**



სურათზე: სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს ჩრდილოეთ ყაზახეთის ყამირზე მომუშავე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამშენებლო რაზმის სახელით მიესალმება ფილოლოგიის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი თენგიზ სულხანიშვილი.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეს ფოტოსურათი გადაღებულია 1966 წლის 2 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. წინა დღით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა საქართველოს სს რესპუბლიკას გადასცა ლენინის ორდენი, რომლითაც საქართველოს სსრ დაჯილდოვდა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში წარმატებებისათვის.

...ის-ის იყო დამთავრდა შეხვედრა უნივერსიტეტის მასწავლებლებთან და სტუდენტებთან, ლეონიდ ილიას ძეს წარუდგინეს ფილოლოგიის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი თენგიზ სულხანიშვილი, რომელიც ჩრდილოეთ ყაზახეთის ყამირის საბჭოთა მეურნეობებში მომუშავე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამშენებლო რაზმის მებრძოლთა სახელით ძვირფას სტუმარს მიესალმა.

— აა, ყამირელო! — გაუხარდა ლეონიდ ილიას ძეს. — თანამემამულენი ვყოფილვართ. მე ხომ იქ მრავალი წელი ვიმუშავე...

„ძველ ლექსიკონებში თქვენ იპოვით სიტყვას „ყამირი", მაგრამ ვერ ნახავთ სიტყვას „ყამირელი". იგი იშვა 50-იან წლებში, ზუსტად ისე, როგორც კოლექტივიზაციის წლებში გაჩნდა სიტყვა „კოლმეურნე". თვით „ყამირის" ცნებამ მაშინ დაკარგა თავისი წმინდა სამეურნეო მნიშვნელობა. იგი საზოგადოებრივი ტერმინი გახდა, რადგან მის უკან იდგა მაღალი მოქალაქეობრიობა და ღრმა საბჭოთა პატრიოტიზმი. ყამირელი ისტორიული ფიგურაა, რომელმაც გმირული ხანა განსაზღვრა. ამ სიტყვით აღნიშნულია დროის მოთხოვნით განპირობებული განსაკუთრებული ხასიათი..."

ლ. ი. ბრეჟნევის წიგნის „ყამირის" ეს სტრიქონები ახალ, ნათელ შუქს ფენენ დიდი ხნის წინათ დამკვიდრებულ ცნებებს.

იმ დროისათვის, როცა თენგიზ სულხანიშვილი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამშენებლო რაზმში გაერთიანებული მისი ათას ორასი ამხანაგი ილიმის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ახალ საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ ჩავიდნენ, სიტყვა „ყამირელი" უკვე მტკიცედ იყო დამკვიდრებული ჩვეულებრივ და სოციალურ ლექსიკონებში. 1965 წლის ივნისისათვის, როცა ისინი, ისევე როგორც ყველა რესპუბლიკისა და ქვეყნის, ყველა ოლქის ასიათასობით მათი თანატოლი, განაგრძობდნენ საბჭოთა მეურნეობების დასახლებასა და გაშენებას, ყამირი უკვე მომხდარი ფაქტი გახდა ქვეყნის ბიოგრაფიაში. და, როგორც მინიმუმი, მთელი თაობის წარმომადგენლებს — ათასობით საბჭოთა ადამიანს — შეეძლოთ სიამაყით ეთქვათ: „ჩვენ, ყამირელები ვართ"!

და იმათ შორის, ვინც გამოსცადა ყამირის პირველი დღეებისა და ღამეების მოუხერხებელი პირობები, პირველი გავლებული კვალის ბედნიერება, ყამირის ხორბლის პირველი ძნის სიხარული, იყო ჩვენი რესპუბლიკის ასობით წარმომადგენელი — პარტიული, კომკავშირული, სამეურნეო მუშაკები, მექანიზატორები, მშენებლები, სტუდენტები — ყველა ისინი ყამირმა დაანათესავა და სამუდამოდ გახადა მოქალაქეობრივი მოვალეობისა და გმირობის ქვეშევრდომები. მათ გატეხეს ყამირი, ხოლო ყამირმა დააკაჟკაცა, გამოაწრთო, მოამზადა ახალი საგმირო საქმეებისა და მიღწევებისათვის, რომლებიც ყამირის ჰორიზონტს იქით ელოდათ.

როცა მათ გადააბრუნეს ყამირის ათასობით ჰექტარი ნაყოფიერი მიწა, ააშენეს ტრამალებში ათობით ქალაქი, მათ აქ თავიანთი ენერგიისა და შემართების ღრმა კვალი, კეთილი სახელი დატოვეს თავიანთი თავისა და ჩვენი საქართველოს შესახებ. ყამირის მიწა ის ნიადაგი გახდა, რომელშიც აღმოცენდა კეთილშობილი თესლი — მეგობრობა, ძნელ პირობებში საქმის ორგანიზაციისა და წარმართვის, ამხანაგების აღფრთოვანებისა და გაყოლიების უნარი. ყამირზე იბადებოდა თვისებები, რომლებზეც ასე შესანიშნავად დაწერა თავის წიგნში ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა: „...არის სადაგი დღეების გმირობა, როცა ადამიანი შეგნებულად, თავისი ნებით ყოფს თავს უღელში, თუმცა იცის, რომ სხვაგან ეს ჭაპანი შეიძლება არც ეწია. ჩემი აზრით, ყამირელებმა გმირობა გვიჩვენეს, მათ გაუძლეს პირველ ხანებში ყველა ყოფით გაჭირვებას და წლების მანძილზე მოთმინებით და მედგრად იმორჩილებდნენ ამ ჯიუტ მიწას"...

— როგორ მუშაობდა ყამირზე ქართველი ახალგაზრდობა? — ჰკითხა სტუდენტს ლეონიდ ილიას ძემ.

სტუდენტმა მოკლედ უპასუხა: „კარგად". უფრო ვრცელი პასუხი კი შეიძლებოდა ყოფილიყო ათობით სამეურნეო ნაგებობა, საყოფაცხოვრებო და კულტურული დანიშნულების შეკეთებული შენობები, პიონერული ბანაკები, თემატური გამოფენები, სტუდენტთა მიერ დაკომპლექტებული ბიბლიოთეკები, ამბულატორიის პუნქტები, სადაც პაციენტებს იღებდნენ თბილისელი მედიკოსი სტუდენტები. საქართველოს ასობით ახალგაზრდა წარგზავნილი დაჯილდოვდა მედლით „ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებისათვის".

ყამირი უკვე აღარ არის ყამირი იმ თვალსაზრისით, რა მნიშვნელობასაც ჩვეულებრივ აქსოვენ ამ სიტყვაში, მაგრამ ყამირი, მის დამპყრობთა გმირობა გრძელდება. და ის ადამიანებიც, რომლებმაც მიიღეს უფლება თავიანთ თავს ყამირილები უწოდონ, წმინდად იცავენ ხსოვნას მიწის შესახებ, რომელიც მათთვის გახდა ვაჟკაცობის, პატრიოტიზმის, ინტერნაციონალური ერთობის სკოლა. (საქინფორმი).

* * *

**რედაქციისგან:** ჩვენი გაზეთის მკითხველები კარგად იცნობენ ჟურნალისტ თენგიზ სულხანიშვილს. რომელიც „ლელოს" ფურცლებზე ხშირად აქვეყნებს სპორტულ მასალებს, განსაკუთრებით — ფეხბურთთან დაკავშირებულ რეპორტაჟებს, ინტერვიუს და სხვ.

ფეხბურთისადმი მისი ეს ინტერესი შემთხვევითი როდია: თ. სულხანიშვილი სწავლობდა თბილისის „ნორჩი დინამოელის" საფეხბურთო სკოლაში და წარმატებითაც თამაშობდა ამ გუნდში კახი ასათიანთან, თემურ ჩლაიძესთან, ვიქტორ მაზენჩეკთან, გივი ლაბაძესთან და სხვებთან ერთად; იყო სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრები გუნდის წევრი.

ამჟამად თ. სულხანიშვილს — საქართველოს ტელე-რადიოს ახალგაზრდულ გადაცემათა მთავარი რედაქციის მთავარ რედაქტორს — ხშირად მიჰყავს სპორტული გადაცემები ტელევიზიით, რადიოსადგურ „მაიაკით"...

## ოლიმპიური სამზადისი ბრწყინვალედ მიმდინარეობს

**„ჩვენზე** დიდი შთაბეჭდილება მოახდინა „ოლიმპიადა-80"-ისთვის მზადებამ, მოსკოვში, ტალინსა და ლენინგრადში ოლიმპიური ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობამ, — „ოლიმპიადა-80"-ის საორგანიზაციო კომიტეტში გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა აშშ-ის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა რ. კეინმა. — ჩვენის აზრით მზადება მიმდინარეობს ბრწყინვალედ, ხოლო რაც შეეხება სპორტულ ნაგებობებს, მათი ბადალი ძნელად თუ მოიძებნება სხვა ქვეყნებში. არ მინახავს, აგრეთვე, ისეთი დიდებული ოლიმპიური სოფელი, როგორიც მოსკოვისაა".

აშშ-ის დელეგაციამ, რომლის შემადგენლობაში იყო, აგრეთვე, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი დ. მილერი, სსრ კავშირში ყოფნის დროს არა მარტო დაათვალიერა სპორტული ახალმშენებლობები, არამედ გაეცნო თამაშებისთვის მზადების გეგმებს. „ჩვენ გვინდა გამოვიყენოთ თქვენი გამოცდილება ლოს-ანჯელესის „ოლიმპიადა-84"-ისთვის მზადებისას, თქვა მილერმა. — მაგრამ ამჟამად ჩვენი საზრუნავია ამერიკის გუნდის დაკომპლექტება მოსკოვის თამაშებისთვის. შემიძლია ვთქვა, რომ სსრ კავშირში ჩამოვა 500-დან 600-მდე ამერიკელი სპორტსმენი.

პრეს-კონფერენციის მონაწილეებმ, „ოლიმპიადა-80"-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. კოველმა აღნიშნა, რომ განხილული იქნა თამაშების ორგანიზაციასა და ჩატარებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები. (საკდესი).

## ვენის ვერნისაჟი

**ვენა.** 15 ნოემბერი (საკდესი). ავსტრიაში დიდი წარმატებით მიმდინარეობს გამოფენა „მოსკოვი იწვევს ოლიმპიადას", რომელიც საბჭოთა კავშირ—ავსტრიის საზოგადოებამ მოაწყო.

გამოფენის ექსპოზიციაშია მრავალფეროვანი ფოტოსურათები, პროსპექტები, დოკუმენტური მასალები, რომლებიც მოგვითხრობენ ოლიმპიურ მშენებლობებზე მოსკოვში, ტალინში და სხვა ქალაქებში. ვენის გამოფენაზე ხაზგასმული იყო, რომ „ოლიმპიადა-80" მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება საერთაშორისო სპორტულ მოძრაობაში და ყველა კონტინენტის ხალხთა მეგობრობისა და მშვიდობის განმტკიცების საქმეს შეუწყობს ხელს.

— ავსტრიის საზოგადოებრიობა დარწმუნებულია, რომ მოსკოვი ღირსეულად გაართმევს თავს ოლიმპიადის მზადების დიდსა და რთულ ამოცანას — თქვა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ავსტრიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა კ. ჰელერმა.

— საბჭოთა დედაქალაქს მსხვილ საერთაშორისო შეჯიბრებათა ჩატარების უდიდესი გამოცდილება აქვს და ამიტომ იყო, რომ ჩვენ დაუყოვნებლივ დავუჭირეთ მხარი მოსკოვის ოლიმპიური თამაშების დედაქალაქად არჩევას.

— მინდა ხაზი გავუსვა იმ ფაქტს, — დასძინა კ. ჰელერმა, — რომ ავსტრიისა და საბჭოთა სახელმწიფოს სპორტული კავშირები კარგად ვითარდება, სულ უფრო ფართოვდება ჩვენს ქვეყნებს შორის სპორტულ დელეგაციათა გაცვლაც. რამდენიმე ხნის წინ ვიმყოფებოდი თქვენს ქალაქებში, სადაც ოლიმპიური შეჯიბრებები გაიმართება. და მინდა აღვნიშნო, რომ სპორტულ ნაგებობათა მშენებლობა წარმატებით ხორციელდება. მათი დაგეგმვა და მოწყობილობა დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს. შემექმნა მტკიცე რწმენა, რომ „ოლიმპიადა-80" საუკეთესოდ იქნება მომზადებული.

## დაჯილდოება

პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის, დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების გამგე ი. ი. ბოჭორიძე.

**ამ დღეებში** დაიწყო „კოლმეურნეს" აფხაზეთის საოლქო საბჭოს სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში შედის სპორტის ეროვნული სახეობები: ქართული ჭიდაობა, ლელობურთი, სიმძიმეების აწევა და ცხენოსნობა.

უკვე დამთავრდა ასპარეზობა ქართულ ჭიდაობაში. ფინალებში გამოიყვანეს გაგრის, გუდაუთის, სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირისა და გალის რაიონებმა, აგრეთვე, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტმა.

## გაიმარჯვეს სტუდენტებმა

გუნდურ ჩათვლაში სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება სტუდენტმა მოჭიდავეებმა დაისაკუთრეს. შემდეგ საპრიზო ადგილებზე შესაბამისად გალისა და ოჩამჩირის წარმომადგენლები გავიდნენ.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: მ. გადელიამ, გ. კვაშილავამ (ორივე — გულრიფშის რაიონი), რ. ახალაიამ (გალი), გ. წულუკიამ, ა. პავლენკომ (ორივე — სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი), ო. გურჩიანმა (ოჩამჩირე), ნ. უბილავამ (სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი) და ზ. გასვიანმა (ოჩამჩირე).

**შ. ჯალაღონია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვესხმიბს
ემ ბელიერი
ემს-ბარი



ტურისტული
გვერდი № 6 (16)



# მზრუნველი ხელის ნაყოფი

...**ქუთაისის** ავტოკემპინგის მოედანზე ვერცხლისფერი თვითმფრინავი დგას. ტურისტები ტრაპზე ადიან და სალონში ადგილებს იკავებენ. მალე თვალებციმციმა სტიუარდესა გამოდის და მგზავრებს ეუბნება: „ძვირფასო ტურისტებო, ჩვენი ლაინერი მიფრინავს მარშრუტით: „ქუთაისი — რომი". მოგზაურობა ერთ საათამდე გასტანს. გისურვებთ ბედნიერ მგზავრობას". შემდეგ ძრავების გუგუნი გაისმის. სალონში ბნელდება და ნათდება ეკრანი. ერთმანეთს კინოკადრები ცვლიან. განცვიფრებული ტურისტები ათვალიერებენ ბაგრატის ტაძრის ნანგრევებს, გელათის მონასტერს, სათაფლიას... მერე თვითმფრინავი რომის აეროდრომზე ეშვება და ახლა უკვე აღფრთოვანებული მგზავრები იტალიის დედაქალაქის საოცრებებს შესცქერიან...

— არა, ეს სიზმარი არაა, ეს არის უახლოესი მომავალი, დამატებითი მომსახურება ჩვენი ტურისტებისთვის — კინომოგზაურთა კლუბი თვითმფრინავში! რას იტყვით, როგორია? — გვეკითხება ქუთაისის ავტოკემპინგის დირექტორი, სპორტის ოსტატი გივი ყალაბეგიშვილი.

• • •

**ჩვენ** ერთი ციცა აივნიან ოთახში ვსაუბრობთ. აივანი ვაზს დაუფარავს. ოთახში დათვის ტყავია დაფენილი. კედელზე ჯიხვის თავის ფიტული კიდია. იქვეა ფერწერულ ტილოებსა თუ ფოტოსურათებზე აღბეჭდილი საქართველოს პეიზაჟები. ერთ კუთხეში მიჯრით აწყვია მატყლის საჩეჩი დაზგა, სპილენძის თუნგი, ორშიმო... მეორე კუთხეში კარადაა. თაროებზე საზენიტო არტილერიის ჰილზები აწყვია, მეზობლად — სხვადასხვა ზომისა და ფერის გრანიტის, მარმარილოს, კაჟისა და სხვაგვარი წარმოშობის ქვები. და კიდევ — კავკასიონის, პამირისა და ტიან-შანის თვალშეუდგამი, ალაპლაპებული მწვერვალების ფოტოები. ეს ქვებიც იქიდანაა ჩამოტანილი, ეს ყოველივე ქუთაისის ავტოკემპინგის დირექტორის კაბინეტშია. ის ქვებიც იმ მწვერვალებიდან ჩამოუტანია. დაპყრობილი პიკების მოსაგონებლად...

წინადადებების წიგნებს ვფურცლავთ:

„ჩვენ, ორი ოჯახი ერთად ვმოგზაურობდით მარშრუტით: ბაქო — სოჭი. ქუთაისის ავტოკემპინგში გულთბილად შეგვხვდნენ. გაოცებულნი დავრჩით კულტმასობრივი მუშაობის მაღალი დონით. სისუფთავე და წესრიგი იგრძნობოდა ყველგან და ყველაფერში, განსაკუთრებით — რესტორანში. აქ დამზადებული ცხარე ეროვნული კერძები განუმეორებელია. მთლიანად ქუთაისის ავტოკემპინგს კი შეიძლება საქართველოს ხელოვნების მუზეუმი ეწოდოს. პროთესორ აიდაშიროვისა და დოცენტ რევანოვების ოჯახი".

• • •

**აქ, ავტოკემპინგში** რამდენიმე დღეს მოგვიწია ცხოვრება და თვალნათლივ დავრწმუნდით სტუმართა გულწრფელობაში. ვინ აღარ მოსულა, საიდან აღარ ჩამოსულა, ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხიდან თუ უცხოეთიდან.

აზერბაიჯანელი მეცნიერები რომ ქუთაისის ავტოკემპინგს საქართველოს ხელოვნების მუზეუმს უწოდებენ, ამას მხოლოდ დირექტორის კაბინეტში მიღებული შთაბეჭდილებები როდი ადასტურებენ. აქ მოსულ სტუმარს ასეთი ასოციაცია კემპინგის ჭიშკრიდანვე ეწყება.

თვითონ ჭიშკარს სიძველის ელფერი დაჰკრავს. იქვეა აღმართული მინიატურული სვანური კოშკი. რესტორნის არქიტექტურაც ორიგინალურადაა გადაწყვეტილი. აქ ერთმანეთს შეერწყა ძველი და ახალი — სვანურ კოშკებს ერთი თანამედროვე სტილის გრძელი, შემინული შენობა აერთიანებს. თვითონ რესტორნის შიდა კედლები ქართული ჭედური ხელოვნების ნიმუშებითაა მოფენილი.

ახლა, იმერულ ოდას აღარ იკითხავთ, ახასხასებულ კოინდარზე ყვავილივით თავს რომ იწონებს? ოდას ნალია და ბელელიც ამშვენებს. კარმიდამოსთვის კოხტად დაწნული ღობე შემოუვლიათ, თავისივე ჭიშკრით. ოდაში მუდამ ხალხმრავლობაა — ამ ტურისტული კუთხე მოუწყვიათ. მალე აქაურობას წისქვილიც დაამშვენებს, რომელიც იქვე, იმერული კარმიდამოს უკან ჩამომავალ პატარა მდინარეზე დაიდგმება.

აქ არა მხოლოდ ქართველები, შუა აზიის რესპუბლიკების ტურისტებიც ისევე გრძნობენ თავს, როგორც საკუთარ სახლში. მათთვის ჩაიხანაა აგებული შორიახლოს, მდინარის პირას ზედადგარია შუააზიელები თვითონვე ამზადებენ ფლავს, აყენებენ ჩაის და ხალიჩაზე ფეხმორთხმულნი მიირთმევენ თავიანთ ეროვნულ კერძებს. ეს ყველაფერი დამატებითი მომსახურებითაა გათვალისწინებული.

აქ ჩამოსული ტურისტები ათვალიერებენ ქუთაისის ეთნოგრაფიულ მუზეუმს, ბაგრატის ნანგრევებს, გელათის მონასტერს, წყალტუბოს, მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმს... ქვეითი ტურიზმის მოყვარულთ ლამისთევით ოლასკურას ხეობიდან სათაფლიისკენ ლაშქრობა ელით.

• • •

**ქუთაისის** ავტოკემპინგის სტუმართა ყურადღებას უმალ იტაცებს კარგად მოვლილი და გაფორმებული სპორტული სარბიელი. აქ თავს იყრიან მშდ-ს, კალათბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის, მაგიდის ჩოგბურთისა და ძალოსნობის მოყვარულნი. საქართველოს ბევრ ტურბაზაში ვყოფილვარ და ასეთი სპორტული სარბიელით ვერც ერთი მათგანი ვერ დაიტრაბახებს. ზამთრობით კი ცურვისმოყვარულნიც გახარებულნი არიან — მათთვის მტირალ ტირიფებში ჩაფლული ორი აუზია.

— ეს ყველაფერი რომ არა, აქ ტურისტებს ერთ დღესაც ვერ დავაკავებდით. აბა, ქალაქგარეთ, ლამის უკაცრიელ ადგილზე, რომელი ტურისტი დაგიჩერდებათ, — გვეუბნება გივი ყალაბეგიშვილი.

— ჩვენი მოწინავე თანამშრომლები? აი ისინიც: დამლაგებელი თამარ წულუკიძე, მიმტანი ალექსანდრა ნიშნიანიძე, მზარეული ოთარ კერესელიძე... მათ თავაზიანი მომსახურებით არაერთხელ დაუმსახურებიათ ტურისტთა თბილი სიტყვები.

მათი და მთელი კოლექტივის დამსახურებაა, რომ ქუთაისის ავტოკემპინგის სამი წლის არსებობის მანძილზე ტურისტებს ერთი საყვედურიც არ დასცდენიათ.

სხვათა შორის, ამ სამი წლის მანძილზე ქუთაისის ავტოკემპინგში წლეულს პირველად შესრულდა გეგმა-ვალდებულებები გადაჭარბებით, თანაც ვადაზე ადრე — 15 სექტემბრისთვის, ყველა მაჩვენებლების მიხედვით. სსრ კავშირის კონსტიტუციის დღესთან დაკავშირებით კი ახალი ვალდებულებები იკისრეს და როგორც ჩანს, პირობას შეასრულებენ კიდეც.

— წინა ორ წელიწადს გეგმებს ვერ ვასრულებდით იმ „უბრალო" მიზეზების გამო, რომ მშენებლებმა ბევრი საზრუნავი დაგვიტოვეს. ახლა ყველაფერი გამოვასწორეთ, გვეუბნება დირექტორი.

— მომავლის გეგმები? მოსკოვის ოლიმპიური თამაშების დღეებში ბევრი უცხოელი ავტოტურისტი გვეწვევა, მათთან თავს არ შევირცხვენთ, ____ მთავრდება ფინური აბანოს მშენებლობა, შენდება სუვენირებისა და ავტონაწილების მაღაზია, ავტოსახელოსნო, სამრეცხაო... ევროპულ სტილში ნაგებ ადმინისტრაციულ შენობაში ატრაქციონს მოვაწყობთ. მაგრამ ყველაფერ ამით, მოგეხსენებათ, უცხოელებს ვერ გავაკვირვებთ. ავტოკემპინგის ტერიტორიაზე საქართველოს სხვადასხვა კუთხის, ძირითადად კი იმერულ კარმიდამოებს მოვაწყობთ. ეს იქნება ერთგვარი მუზეუმი ღია ცის ქვეშ.

და ბოლოს, ჩვენი წერილი გვინდა ისევ ქუთაისის ავტოკემპინგის წინადადებათა წიგნიდან ამოწერილი სტრიქონებით დავამთავროთ, რომლებსაც პედაგოგები ლ. ტაბატაძე და ზ. მაჭარაშვილი წერენ:

„აქ ყველგან და ყველაფერს მზრუნველი ხელი ეტყობა. იგრძნობა, ყოველ საქმეს ნიჭიერი ორგანიზატორი ხელმძღვანელობს. შესაშურია კემპინგის დირექტორის, გივი ყალაბეგიშვილის ავტორიტეტი, მისი პატივისცემა სტუმართა მიმართ, გვიან ღამით ფეხაკრეფით რომ დაფუსფუსებს კემპინგის ტერიტორიაზე, მზრუნველი თვალით ამოწმებს ყველაფერს".

ა. გურასაშვილი.

* * *

**სურათებზე:** დამსვენებლები საქართველოს რუკასთან, რომელზეც აღნიშნულია ავტოტურისტული მარშრუტები; მინიატურული სვანური კოშკი, ტურისტები იმერულ ოდაში.

ავტორის ფოტოები.





## კომკავშირულ კოცონთან

**სისტემატურად,** ორგანიზებულად და შინაარსიანად ატარებენ ტურისტულ ლაშქრობებს ზესტაფონის გ. ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშამოსამსახურეები.

ამას წინათ ერთ-ერთ ასეთ ლაშქრობას სათავეში ჩაუდგა კომკავშირის კომიტეტის მდივანი თ. ბასილაძე. თვრამეტი კომკავშირელი აქტივისტი ფასანაურამდე ავტომობილით ჩავიდა. იქიდან კი ფეხით მოაწყეს ლაშქრობა საქართველოს მთიანეთის ამ ულამაზეს მხარეში. ტურისტებმა „დალაშქრეს" ბარისახო, შატილი, მოინახულეს დიდი მგოსნის — ვაჟა-ფშაველას სახლმუზეუმი სოფელ ჩარგალში, ესტუმრნენ X ხუთწლედის უმნიშვნელოვანეს მშენებლობას — ენგურჰესს და ბოლოს არაგვის ხეობაში ადგილობრივ ახალგაზრდებთან ერთად ააგიზგიზეს კომკავშირული კოცონი.

დილით, როცა კავკასიონის ჭალარა ქედები ოქროსფერმა მზის სხივებმა გაანათა, ალპური საძოვრების ფონზე მასპინძლებთან ერთად სამახსოვრო სურათები გადაიღეს. ბოლოს კი აქაურ მეცხვარეებს მხატვრული ლიტერატურა დაუტოვეს სახსოვრად.

ტურისტული ლაშქრობისას ზევრმა ჩააბარა მშდ კომპლექსის ნორმატივი. ამას გარდა, გაიმართა სახელდახელო პირველობები ჭადრაკში, შაშში და ფრენბურთში.

## ვინ მეტს დაიჭერს?

ამას წინათ „საქენერგოს" ზესტაფონის სამმართველოს მუშამოსამსახურეებმა ხარისთვალის ტბის მიდამოებში თევზჭერაში მოაწყეს შეჯიბრება. ამ საინტერესო ღონისძიებაში 23 კაცი მონაწილეობდა. ყველას აჯობა სამმართველოს მუშაკმა ა. ალავიძემ.

ა. განუგრაშა.
(ჩვენი კორ.).

ზესტაფონი.



გაზეთ „ტრუდის" პრიზის მფლობელი სპარტაკელი გ. იარცევი.

# დიდი ფეხბურთის პრიზები

7 თვეს გაგრძელდა სსრ კავშირის XXXXI ჩემპიონატი ფეხბურთში. ოქროს მედლები მოიპოვეს თბილისის დინამოელებმა, ვერცხლის პრიზიორი გახდა კიევის „დინამო", ხოლო ბრინჯაოსი — დონეცკის „შახტიორი".

თბილისის დინამოელები თავიანთი არსებობის მანძილზე მეორედ ხდებიან ჩემპიონები, კიეველები მეორედ გავიდნენ II ადგილზე, ხოლო დონეცკელებმა მეორედ მოიგეს ბრინჯაოს მედლები.

როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთის რედაქციებს, აგრეთვე, საზოგადოებრივ და სპორტულ ორგანიზაციებს დაწესებული აქვთ ე. წ. „დიდი ფეხბურთის" პრიზები საუკეთესო მაჩვენებლების მქონე ცალკეული გუნდებისა და მოთამაშეებისთვის. ამ პრიზების უმეტესი რაოდენობა წილად ხვდა ახალ ჩემპიონს — თბილისის „დინამოს".

### გ. ფედოტოვის სახელობის პრიზი

გამოჩენილი საბჭოთა ფეხბურთელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის გ. ფედოტოვის სახელობის პრიზი თბილისელებმა მოიგეს მეტოქეთა კარში გატანილი ყველაზე მეტი ბურთისთვის — 45. აღსანიშნავია, რომ ამ პრიზს თბილისის „დინამო" უკვე ფლობდა 1959 და 1960 წლებში.

### დუბლიორები — პირველნი

უმაღლესი ლიგის კლუბების სათადარიგო შემადგენლობები სსრ კავშირის სპორტკომიტეტის პრიზზე ასპარეზობენ 1946 წლიდან. თბილისელებმა წლევანდელ გათამაშებაში დუბლიორთა შორის საუკეთესო შედეგს მიაღწიეს — 44 ქულა და დაეუფლნენ პრიზს. ჩვენი ფეხბურთელები ამ ჯილდოს მფლობელები უკვე იყვნენ 1964 წელს.

### 2 გუნდის ჯამში

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციას დაწესებული აქვს სპეციალური პრიზი კლუბისთვის, რომელიც საკავშირო ჩემპიონატში უკეთეს მაჩვენებელს მოიპოვებს ძირითად და სათადარიგო შემადგენლობათა ჯამში. თბილისის „დინამომ" სულ დააგროვა 86 ქულა (42 ძირითადმა და 44 — დუბლიორებმა). თბილისის „დინამოს" ორი გუნდის ჯამში საუკეთესო მაჩვენებელი ჰქონდა 1964 წელს.

### „ტრუდის" პრიზი

გაზეთ „ტრუდის" რედაქციას დაწესებული აქვს პრიზი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირისთვის, წლეულს ეს პრიზი წილად ხვდა მოსკოვის „სპარტაკის" თავდამსხმელს გ. იარცევს, რომელმაც მეტოქეთა კარში გაიტანა 19 ბურთი (აქედან 2 — პენალტით).

გ. იარცევის შემდეგ ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელებია თბილისის დინამოელი რ. შენგელია — 15 ბურთი და კიეველი ო. ბლოხინი — 13.

### „პროგრესის თასი"

გუნდისთვის, რომელმაც წინა სეზონთან შედარებით ყველაზე უფრო მეტი აღმასვლა განიცადა, უკრაინის „რაბოჩაია გაზეტას" რედაქციის მიერ დაწესებულია „პროგრესის თასი". იგი წილად ხვდა მოსკოვის „სპარტაკს", რომელიც შარშან I ლიგაში გამოდიოდა, წლეულს კი უმაღლეს ლიგაში V ადგილზე გავიდა.

### დიდი ანგარიშით გამარჯვებებისთვის

ყოველკვირეულ გამოცემა „ფუტბოლ-ჰოკეის" დაწესებული აქვს „დიდი ანგარიშის" პრიზი, რომელიც გადაეცემა 3 და მეტი ბურთის განსხვავებით ყველაზე მეტი მატჩის მომგებ გუნდს. კიეველებმა წლეულს 6 ასეთი გამარჯვება მოიპოვეს და პრიზიც მათი კუთვნილება გახდა.

### საუკეთესო სხვაობისთვის

კიევის დინამოელები დაეუფლნენ, აგრეთვე, უკრაინულ ჟურნალ „სტარტის" მიერ დაწესებულ ჯილდოს გატანილი და მიღებული ბურთების საუკეთესო სხვაობისთვის. მათი მაჩვენებელია 42—20+22.

### გამარჯვებისადმი სწრაფვისთვის

ისევე, როგორც შარშან, გაზეთ „სოვეტსკაია როსიას" რედაქციის პრიზი „გამარჯვებისადმი სწრაფვისთვის" მოსკოვის არმიელთა გუნდის კუთვნილება გახდა. არმიელებმა მოიგეს 5 ისეთი მატჩი, სადაც ანგარიში მეტოქეს ჰქონდა გახსნილი.

### სამართლიანი თამაშისთვის

ვოროშილოვგრადის „ზარია" მიიღებს ჟურნალ „ჩელოვეკ ი ზაკონის" რედაქციის მიერ დაწესებულ პრიზს, ყველაზე დისციპლინირებული, კორექტული გუნდისთვის. ვოროშილოვგრადის „ზარიას" ფეხბურთელებმა სსრ კავშირის ჩემპიონატისა და თასის გათამაშებებში მიიღეს სულ 4 გაფრთხილება.

### „აგრესიული სტუმრის" პრიზი

უკრაინის ახალგაზრდული გაზეთის „კომსომოლსკოე ზნამიას" პრიზი გადაეცემა გუნდს, რომელიც ყველაზე მეტ ქულას აიღებს მეტოქეთა მინდვრებზე. იგი მოიპოვეს მოსკოვის დინამოელებმა, რომლებმაც გასვლაზე დააგროვეს 17 ქულა.

### „ავტორიტეტთა რისკა"

ესაა ყოველკვირეული გამოცემა „სპორტივნაია მოსკვას" პრიზი გუნდისთვის, რომელიც ყველაზე უკეთეს შედეგს მიაღწევს პრიზიორებთან. ტაშკენტის „ფახთაქორმა" და მოსკოვის „დინამომ" პირველ 3 პრიზიორთან დააგროვეს 6-6 ქულა, მაგრამ პრიზი გადაეცემა ტაშკენტელებს, ვინაიდან მათ ამ თამაშებში 2 გამარჯვება აქვთ, მოსკოველებს კი — 1.

# უმაღლესი ლიგა

## სტატისტიკის ბლოკნოტში

მოგვყავს სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის ბოლო ტურის შეხვედრათა სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ჩვენ გაზეთში არ იყო გამოქვეყნებული.

**„ჩერნომორეცი" — „ზენიტი" 3:0 (2:0).** გოლები ლენინგრადელთა კარში გაიტანეს დოროშენკომ, შეპელმა და ლეშჩუკმა.

დუბლიორები — 3:0.

**„არარატი" — „ზარია" 2:2 (1:0).** მე-5 და 62-ე წუთებზე ვოროშილოვგრადელთა კარი ორჯერ აიღეს ოგანესიანმა და ბონდარენკომ. ზუბენკომ და ხოროკალეტმა აღადგინეს თანაფარდობა.

გაფრთხილებულია ერევნელი აშ. ხაჩატრიანი.

დუბლიორები — 5:1.

**„დნეპრი" — „ლოკომოტივი" 1:0 (0:0).** გადამწყვეტი გოლი ლოკომოტიველთა კარში 82-ე წუთზე გაიტანა კუცევმა.

დუბლიორები — 1:2.

### გათამაშების საბოლოო ცხრილი
### სათადარიგო შემადგენლობანი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" თბ. | 30 | 20 | 4 | 6 | 45—20 | 44 |
| ცსკა | 30 | 16 | 11 | 3 | 49—27 | 43 |
| „დინამო" კ. | 30 | 15 | 7 | 8 | 34—24 | 37 |
| „დინამო" მ. | 30 | 14 | 9 | 7 | 39—22 | 37 |
| „ნეფთჩი" | 30 | 14 | 7 | 9 | 43—38 | 35 |
| „არარატი" | 30 | 12 | 10 | 8 | 43—30 | 34 |
| „შახტიორი" | 30 | 12 | 10 | 8 | 34—23 | 34 |
| „ტორპედო" | 30 | 12 | 6 | 12 | 40—36 | 30 |
| „სპარტაკი" | 30 | 11 | 7 | 12 | 49—31 | 29 |
| „ჩერნომორ." | 30 | 11 | 6 | 13 | 29—38 | 28 |
| „ფახთაქორი" | 29 | 7 | 12 | 10 | 28—32 | 26 |
| „ქაირათი" | 30 | 8 | 9 | 13 | 34—43 | 25 |
| „ლოკომოტ." | 30 | 8 | 8 | 14 | 29—44 | 24 |
| „ზენიტი" | 29 | 6 | 9 | 14 | 28—50 | 21 |
| „ზარია" | 30 | 7 | 6 | 17 | 29—65 | 20 |
| „დნეპრი" | 30 | 0 | 11 | 19 | 21—51 | 11 |

**შენიშვნა:** „ფახთაქორისა" და „ზენიტის" მატჩი არ შემდგარა. ამის შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისია.

## ჩემპიონატები, თასები, ტურნირები

### იტალია

ამ ქვეყნის „საფეხბურთო დედაქალაქს" ტურინს მძიმე დღეები დაუდგა. 1977-78 წლების ჩემპიონატში „იუვენტუსი" და „ტორინო", როგორც საერთოდ უკანასკნელი წლების პირველობებზე, ჩინებულად გამოდიოდნენ, ახლა კი სერიოზულ მარცხს განიცდიან.

IV ტურში ტურინის ორივე კლუბი დამარცხდა. „ტორინომ" სტუმრად წააგო „ასკოლასთან" 0:3. კიდევ უფრო მოულოდნელი იყო ჩემპიონის — „იუვენტუსის" მარცხი (1:2) ტურინში „პერუჯასთან".

4 ტურის შემდეგ „მილანმა" და „პერუჯამ" მოაგროვეს 7-7 ქულა, „ფიორენტინამ", „ნაპოლიმ", „ინტერმა" და „ტორინომ" — 5-5.

### საფრანგეთი

მიმდინარე სეზონის ძირითად მოულოდნელობად მიაჩნიათ სტრასბურგის „რესინგის" ძლიერი თამაში. მან XVI ტურში სტრასბურგში ანგარიშით 4:1 სძლია მარსელის „ოლიმპიკს", 24 ქულა მოაგროვა და მტკიცედ ლიდერობს. ახლა „რესინგი" 3 ქულით უსწრებს „სენტ-ეტიენსა" და „მონაკოს". ამასთან ერთი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული.

### ესპანეთი

VII ტურის მნიშვნელოვანი მატჩი ბილბაოს „ატლეტიკსა" და „ბარსელონას" შორის გამოტოვებული იქნა. მადრიდის „რეალი" სტუმრად თამაშობდა „ბურგოსთან" და ფრეს დასჯერდა — 2:2. ამის მიუხედავად იგი 7 თამაშიდან 11 ქულით ინარჩუნებს პირველ ადგილს. 10 ქულა აქვს „ესპანიოლს" (ბარსელონა), 9 ქულა — „სპორტინგს" (ხიხონი).

### პორტუგალია

7 თამაშიდან 11-11 ქულით I-II ადგილებს იყოფენ „პორტო" და ლისაბონის „სპორტინგი". „პორტომ" ფრედ (0:0) ითამაშა ვარციმში ადგილობრივ „ვარზიმთან", ხოლო „სპორტინგმა" ლისაბონში დაამარცხა ვიზეუს „აკადემიკა" — 2:0. პორტუგალიის მრავალგზის ჩემპიონს „ბენფიკას" (ლისაბონი) 7 თამაშიდან 8 ქულა აქვს და ჯერჯერობით VII ადგილზეა.

### საბერძნეთი

5 რიგითი გამარჯვების შემდეგ ათენის აეკ-ი საკუთარ მინდორზე ფრეს (1:1) დასჯერდა სალონიკის „არისთან". ამან გაამწვავა ბრძოლა სატურნირო ცხრილში, ვინაიდან 10-10 ქულა ერთბაშად 4 გუნდმა მოაგროვა. ესენი არიან „პანათინაიკოსი" (ათენი), „ეთნიკოსი" (პირეოსი), „არისი" (სალონიკი) და „ოლიმპიაკოსი" (პირეოსი).

# 4 და 19 დეკემბერს

ჟენევა, 15 ნოემბერი. როგორც [illegible] გამოცხადდა, სუპერთასის ტრადიციული მატჩები ფეხბურთში ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელსა და თასების მფლობელთა გამარჯვებულს შორის (ინგლისის „ლივერპული" და ბელგიის „ანდერლეხტი") გაიმართება 4 და 19 დეკემბერს. მეტოქეები ერთმანეთს პირველად შეხვდებიან ბელგიელთა მინდორზე.

სუპერთასის მფლობელები სხვადასხვა წლებში იყვნენ ამსტერდამის „აიაქსი", კიევის „დინამო", ბრიუსელის „ანდერლეხტი" და ინგლისის „ლივერპული".

## [illegible]

### გათამაშების ცხრილები
### II ჯგუფი
#### I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ...იონი" | 33 | 26 | 3 | 4 | 94—40 | 55 |
| ...ესხეთი" | 33 | 26 | 3 | 4 | 75—31 | 55 |
| ...ქიმ. № 3 | 34 | 25 | 5 | 4 | 61—24 | 55 |
| ...არძია" | 33 | 19 | 7 | 7 | 66—37 | 45 |
| ...ბული" | 34 | 18 | 4 | 12 | 43—41 | 40 |
| ...ანსხლება" | 34 | 15 | 8 | 11 | 63—48 | 38 |
| ...ანთიადი" | 33 | 12 | 9 | 12 | 81—47 | 34 |
| ...ართლი" | 34 | 14 | 6 | 14 | 84—58 | 34 |
| ...ლაზანი" | 32 | 13 | 8 | 11 | 75—57 | 34 |
| ...ორი" | 33 | 14 | 3 | 16 | 68—74 | 31 |
| ...არეჯი" | 33 | 12 | 6 | 15 | 51—52 | 30 |
| ...ერხოვანი" | 34 | 10 | 7 | 17 | 48—67 | 27 |
| ...ერისი" | 33 | 9 | 7 | 17 | 55—73 | 25 |
| ...რაგვი" | 33 | 7 | 9 | 17 | 47—55 | 23 |
| ...რიალეთი" | 33 | 9 | 5 | 19 | 41—65 | 23 |
| ...ტრიონი" | 33 | 5 | 13 | 15 | 31—56 | 23 |
| ...რუთი" | 31 | 8 | 6 | 17 | 43—82 | 22 |
| ...სკარი" | 34 | 7 | 7 | 20 | 42—96 | 21 |
| ...მარჯვება" | 33 | 4 | 8 | 21 | 52—117 | 16 |

#### II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ...მერეთი" | 29 | 23 | 5 | 1 | 72—25 | 51 |
| ...ლორი" | 29 | 23 | 3 | 3 | 73—28 | 49 |
| ...იტურა" | 29 | 22 | 5 | 2 | 58—16 | 49 |
| ...მარო" | 30 | 17 | 9 | 4 | 71—35 | 43 |
| ...მომსხ." | 31 | 14 | 7 | 10 | 52—42 | 35 |
| ...ქალაქდე" | 30 | 13 | 2 | 15 | 49—41 | 28 |
| ...ტომობ." | 29 | 9 | 8 | 12 | 31—38 | 26 |
| ...ადული" | 30 | 9 | 7 | 14 | 51—56 | 25 |
| ...ტომ." ბ. | 30 | 9 | 7 | 14 | 43—57 | 25 |
| ...ტიორი" | 29 | 11 | 2 | 16 | 34—47 | 24 |
| ...რუჯა" | 30 | 8 | 8 | 14 | 21—46 | 24 |
| ...აკი" | 30 | 7 | 8 | 15 | 44—53 | 22 |
| ...ანტი" | 29 | 7 | 8 | 14 | 40—58 | 22 |
| ...ურალი" | 30 | 6 | 10 | 14 | 22—43 | 22 |
| ...აქრე" | 30 | 6 | 10 | 14 | 39—65 | 22 |
| ...ალეში" | 31 | 8 | 5 | 18 | 37—63 | 21 |
| ...ომ." მ. | 30 | 7 | 4 | 19 | 41—65 | 18 |

# ფიფა-ს პრეზიდენტი სოკ-ის წინააღმდეგ

**ფეხბურთის** საერთაშორისო ფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა უარი განაცხადა მიიღოს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ლორდ კილანინის რეკომენდაციები იმის თაობაზე, რომ გადაისინჯოს დადგენილება მოსკოვის ოლიმპიადაზე იმ ფეხბურთელთა მონაწილეობის აკრძალვის შესახებ, რომლებიც გამოდიოდნენ მსოფლიო ჩემპიონატებში.

მადრიდში გამართული აღმასკომის სხდომის შემდეგ ფიფა-ს პრეზიდენტმა ჟ. აველანჟმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა: „ჩვენ უარი ვთქვით ყველა თხოვნაზე დადგენილების გაუქმების შესახებ. იგი მიღებულია ფიფა-ს კონგრესზე და აღმასრულებელ კომიტეტს არ შეუძლია ამ დადგენილების გაუქმება". ამგვარად, ფიფა-ს პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ დაუჭირა მხარი კონგრესის მიერ ბუენოს-აირესში მიღებულ დისკრიმინაციულ გადაწყვეტილებას.

მადრიდში აღმასკომის სხდომის წინ ლორდმა კილანინმა ჟ. აველანჟს გაუგზავნა წერილი, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამი იყო, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილება არ შეესაბამება ძირითად ოლიმპიურ პრინციპებს, რომლებიც მიმართულია დისკრიმინაციის წინააღმდეგ. ამას გარდა, მ. კილანინმა წერილში აღნიშნა, რომ 1980 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამა საბოლოოდ განსაზღვრული იქნა 1977 წლის ივნისში და არ შეიძლება შეცვლილი იქნას დეტალებშიც კი. ამ წერილში მ. კილანინმა ფიფა-ს მოუწოდა ნუ მიმართავს „ახალ წესებს" 1980 წლის ოლიმპიური ტურნირისთვის.

როგორც ცნობილია, ფიფა-მ ორჯერ მიიღო გადაწყვეტილებანი, რომლებსაც საზოგადოებრიობა დისკრიმინაციულად მიიჩნევს. ჯერ აღმასკომმა გადაწყვიტა მოსკოვის ოლიმპიურ ტურნირზე არ დაუშვან ყველა ის მოთამაშე, რომლებიც გამოდიოდნენ მსოფლიო ჩემპიონატებში, შემდეგ კონგრესმა „გადასინჯა" ეს დადგენილება და გადაწყვიტა შეზღუდვა შეეხოს მხოლოდ ევროპისა და სამხრეთ ამერიკის ფეხბურთელებს.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომმა ფიფა-ს ხელმძღვანელობას მოთხოვა სასწრაფოდ მოეწვია თათბირი, სადაც განიხილავდნენ მომავალ ოლიმპიადაზე ფეხბურთელთა მონაწილეობის პრობლემებს. შემდეგ დისკრიმინაციული დადგენილების გადასინჯვის წინადადება წამოაყენა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა, მაგრამ ფიფა ჟ. აველანჟის მეთაურობით განაგრძობს ჯიუტობას და არ აქცევს ყურადღებას უმაღლესი საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციის, ფართო სპორტული საზოგადოებრიობის, ფეხბურთის მოყვარულთა აზრს.

როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, მადრიდის პრეს-კონფერენციაზე ჟ. აველანჟმა დაურიდებლად გაილაშქრა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წინააღმდეგ და განაცხადა, რომ „ფეხბურთი შეიძლება ამოღებული იქნას მოსკოვის ოლიმპიადის პროგრამიდან, თუ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი არ დაეთანხმება ფიფა-ს გადაწყვეტილებას და მოითხოვს მის გაუქმებას". ეტყობა, ფიფა-ს პრეზიდენტს თავისი თავი მსოფლიო ფეხბურთის ერთადერთ „პატრონად" მიაჩნია და ავიწყდება, რომ ოლიმპიური თამაშების პროგრამას ამტკიცებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი. ამას გარდა, სპორტსმენთა ოლიმპიადაზე დაშვების წესები წარმოადგენს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეროგატივას.

# ესეც თუ კენჭისყრაა!

**ფეხბურთის** საერთაშორისო ფედერაცია განაგრძობს თავისი ნეგატიური დამოკიდებულების დემონსტრაციას ოლიმპიური საფეხბურთო ტურნირებისადმი. ფიფა-ს აღმასკომის სხდომის შემდეგ მადრიდში მოეწყო წინასაოლიმპიადო ტურნირის შესარჩევი ჯგუფების წილისყრა, რომლის სტრუქტურის პრინციპი, უბრალოდ, განსაცვიფრებელია! ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია ევროპას ოლიმპიადაზე უთმობს მხოლოდ 4 ადგილს და ამ კონტინენტის გუნდები დაყოფილი არიან 4 ჯგუფად. ერთ-ერთ მათგანში ჩართულია ისრაელის ნაკრებიც, თუმცა ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია არ შედის უეფა-ს შემადგენლობაში, ხოლო ნაკრები ყველა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში აზიის ზონაში გამოდის.

გაუგებარია რა პრინციპით მოეწყო თვით წილისყრა. თვითონ განსაჯეთ: ევროპის პირველ ჯგუფში შეყვანილი არიან 5 სოციალისტური ქვეყნის — ჩეხოსლოვაკიისა და ბულგარეთის, უნგრეთისა და რუმინეთის, აგრეთვე, პოლონეთის წარმომადგენლები. საგზური კი ერთია! მისთვის ბრძოლა მოუხდებათ პირველი 2 წყვილის გამარჯვებულებსა და პოლონეთის ფეხბურთელებს. ამგვარი რამ წინასაოლიმპიადო შესარჩევ ტურნირებში ჯერ არ მომხდარა. ეტყობა, ფიფა-ს ზოგიერთ მოღვაწეს მოსვენებას არ აძლევს სოციალისტური ქვეყნების ფეხბურთელთა გამარჯვებები ოლიმპიადებზე. ბოლო 4 ოლიმპიურ თამაშებზე ფინალებში სამჯერ გამოდიოდა უნგრეთის ნაკრები, ორჯერ — პოლონეთი და თითოჯერ — ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი და გდრ. ახლა მხოლოდ 2 მათგანი გამოვა მოსკოვში (გდრ-ის გუნდი — როგორც მონრეალის ოლიმპიადის გამარჯვებული). მხოლოდ იმ ფაქტით, რომ სოციალისტური ქვეყნების ფეხბურთელები ასე დიდი ხანია იგებენ ოლიმპიურ ტურნირებს, შეიძლება აიხსნას ფიფა-ს გადაწყვეტილება აუკრძალოს მოსკოვის ოლიმპიადაზე გამოსვლა მსოფლიო ჩემპიონატების მონაწილე ფეხბურთელებს. ეს დადგენილება სამართლიანად გააკრიტიკა საერთაშორისო სპორტულმა საზოგადოებრიობამ და საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა. (საკდესი).

# ადმასვლის მორიგ საფეხურზე

## საქართველოს პირველობა აკრობატიკაში

●

**აკრობატიკა** სულ უფრო პოპულარული ხდება არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. რეგულარულად ეწყობა ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატები, რომლებშიც საბჭოთა სპორტსმენები მუდამ წარმატებით გამოდიან. საქართველოს გუნდებს ამ სახეობაში კარგი ტრადიციები ჰქონდათ, მაგრამ შემდეგ ერთხანს იგი მინელდა. სასიხარულოა, რომ უკანასკნელ პერიოდში აკრობატიკა ჩვენთან კვლავ აღმავლობის გზას დაადგა. ამას ხელი იმანაც შეუწყო, რომ რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელები სპორტის ამ სახეობის განვითარებას გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობენ, მწვრთნელებიც უფრო ნაყოფიერად შრომობენ.

ამას წინათ თბილისის არმიელთა სპორტული კლუბის დარბაზში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი, რომელშიც აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, თბილისის (2), ქუთაისისა და რუსთავის ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ. სარბიელზე უკონკურსოდ გამოვიდნენ, აგრეთვე, ბელორუსიის სპორტსმენები, მათ შორის — სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი ვაჟთა შორის ხტომებში მინსკელი ვ. ბლინდერი, რომელიც მსოფლიოში პირველია სამმაგი მალაყის დაჯგუფებით შესრულებაში...

შეჯიბრებამ, რომლის მთავარი მსაჯი იყო საკავშირო კატეგორიის არბიტრი გ. მარგიშვილი, ორგანიზებულად ჩაიარა. შედეგებიც საკმაოდ კარგი გამოდგა. შესაძლოა მაჩვენებლები უფრო მაღალი ყოფილიყო, რომ დარბაზი მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს: ასკ-ს ბაზაზე აშკარად არ შეიძლება ხტომების ჩატარება, ვინაიდან გამორბენის მანძილი მცირეა და სპორტსმენებიც დამამთავრებელ ფაზას კედელზე დაჯახების შიშით გაუბედავად ასრულებდნენ.

ჩემპიონატში განსაკუთრებით კარგად იასპარეზეს ვაჟთა წყვილებმა. აქ გამარჯვებულებმა ზ. ნიკოლაიშვილმა და დ. გაგოშვილმა (თბილისი) საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულეს — 38,13 ქულა. ასეთივე მაჩვენებელს მიაღწია გოგონათა სამეულმა, მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორებმა ნ. კიკალაშვილმა, მ. მნათობიშვილმა და ტ. შილაკაძემ 38,29 ქულა მოაგროვეს. ეს შედეგი თბილისელი გოგონების დიდ პოტენციალზე მეტყველებს. სამწუხაროდ, რესპუბლიკურ ჩემპიონატზე საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივის შესრულებისთვის სპორტსმენებს ეს წოდება არ ენიჭებათ.

**შეჯიბრების ტექნიკური შედეგები. გოგონები. ერთეულები.** ე. ეჯიბია (სოხუმი) — 36,78 ქულა, ნ. ხიდაშელი (თბილისი) — 36,69, ტ. მჭედლიძე (ცხინვალი) — 36,03; **წყვილთა შეჯიბრება.** ნ. ბახტაძე — ს. მკრტიჩიანი (თბილისი) — 37,42, ტ. სპადინენკო — ნ. რაზუვაევა (რუსთავი) — 37,08, ნ. კოხრეიძე — მ. ბერეკაშვილი (ქუთაისი) — 33,59; **შერეული წყვილები.** ლ. ორდინატი — კ. არუთუნიანი (რუსთავი) — 36,86, კ. აშაკიანი — ნ. გრიგოლაშვილი (რუსთავი) — 36,12, გ. გოგიჩაიშვილი — ვ. მარქარიანი (თბილისი) — 24,46; **სამეულები.** თბილისი (ნ. კიკალაშვილი, მ. მნათობიშვილი, ტ. შილაკაძე) — 38,29, რუსთავი (მ. ხანიაშვილი, ლ. კოკოაშვილი, ი. ჩერტკოვა) — 33,72, ქუთაისი (ლ. ხვიჩია, ნ. გრიგოლაშვილი, ლ. მაჩიტაძე) — 25,82.

**ვაჟები. ერთეულები.** გ. ბერიძე (რუსთავი) — 36,89, ზ. კილაძე (თბილისი) — 36,66, დ. პატასკაევი (სოხუმი) — 36,26; **წყვილები.** ზ. ნიკოლაიშვილი — დ. გაგოშვილი (თბილისი) — 38,13, ს. სისოევი — ა. ზალინიანი (თბილისი) — 37,03; **ოთხეულთა ჯგუფური.** თბილისი (გ. კაკაშვილი, ა. არუთინიანი, ვ. თურქაძე, გ. სუთიძე) — 37,43, რუსთავი (ვ. ამბროლაძე, ა. ვასილჩენკო, ვ. ბექაშვილი, ე. ხარიჩკინი) — 36,16, თბილისი II (ნ. ბერაძე, გ. გაგოშვილი, გ. ალაპიშვილი, თ. ალაპიშვილი) — 34,52.

**გუნდური.** თბილისი I — 681,638 ქულა, რუსთავი — 632,183, ქუთაისი — 485,02.

შედგა საქართველოს ნაკრები. იგი ლვოვსა და ესენტუკში საწვრთნო შეკრების შემდეგ მონაწილეობას მიიღებს საკავშირო პირად-გუნდურ ჩემპიონატში, რომელიც ბრიანსკში გაიმართება.

**მ. ქელეხსაშვილი,**
**სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.**



# ავტორალი „საქართველო-78“

**საქართველოს** ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოსა და დოსაafის თბილისის კომიტეტის თაოსნობით მესამე წელია რეგულარულად იწყობა ავტორალი. ამჯერად „საქართველო-78-ის“ მონაწილეებმა დიღმის ტურბაზაში მოიყარეს თავი. ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა გარდა აქ შეკრიბდა ჩელიაბინსკის, ოდესის, კიევის, მოსკოვის, დიმიტროვგრადის, რიგის, ტაშკენტისა და დნეპროპეტროვსკის კოლექტივები. სულ 40 ეკიპაჟი. აქვე გაიმართა აღლუმი.

მონაწილეებს მიესალმნენ ტურიზმისა და ექსკურსიების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე დ. ჯოხთაბერიძე და ტურნირის კომისარი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი მ. მელიქიანი, რის შემდეგ მონაწილეთა კოლონებმა ალმებით გაიარეს თბილისის ქუჩები, ლენინის მოედანი და ისევ ბაზაში დაბრუნდნენ.

სტარტი სანაპიროზე, ბარათაშვილის ხიდთან შედგა. რალის მონაწილეებმა პირველი გამოცდა აქ ჩააბარეს — ფიგურულ სვლაში შეეჯიბრნენ ერთმანეთს. მერე მთავარი ბრძოლები დაიწყო — მანქანები სამ-სამი წუთის ინტერვალით გაუდგნენ გზას პირველ ეტაპზე მარშრუტით: თბილისი — მამკოდა — მარტყოფი — გომბორის უღელტეხილი — თიანეთი — ახმეტა — თელავი. კახეთის ამ ძველ ქალაქში მოეწყო ეტაპის ფინიში. აქვე შეჯიბრების მონაწილეებმა დაათვალიერეს კახეთის ისტორიული ადგილები: შუამთა, ალავერდი, გრემი, თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ხოლო 5 ნოემბერს გაუდგნენ გზას: ლაგოდეხის, წნორის, სიღნაღის, ბაკურციხის, გურჯაანის და რუსთავის გავლით თბილისში დაბრუნდნენ. უკან დარჩა 700 კილომეტრზე მეტი.

რალის მონაწილენი ასპარეზობდნენ „ჟიგულის“ კლასის მანქანებით.

ავტორალიში „საქართველო-78“ საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ავტომოყვარულთა კლუბის გუნდმა „ტურისტმა“ (გუნდის კაპიტანი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი ვ. სულაძე), მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ოდესის ავტომოყვარულთა ნაკრები და თბილისის დოსაafის სპორტტექნიკური კლუბის გუნდი.

სამაგიეროდ პირად ჩათვლაში წარმატება წილად სტუმრებს — ოდესელ სპორტსმენებს ხვდათ. სპორტის ოსტატებმა ი. ხაიმსკიმ (მძღოლი) და ა. შტურმანმა გაიმარჯვეს როგორც პირველი, ასევე მეორე კლასის მანქანებს შორის დავაში.

წარმატებით იასპარეზეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა, პირველთანრიგოსნებმა გ. მაჭარაშვილმა და ე. ხუროძემ — პირველი კლასის მანქანებით ისინი II ადგილზე გავიდნენ. III ადგილი ხვდათ თბილისის უნივერსიტეტის სპორტტექნიკური კლუბის წევრებს ვ. ჩიქოვანსა და ა. ქურციკაშვილს.

აბსოლუტურ პირად ჩათვლაში ხაიმსკიმ და შტურმანმა იმარჯვეს. მომდევნო ადგილებზე არიან ვ. სულაძე — დ. ლომიძისა და გ. მაჭარაშვილ — ე. ხუროძის დუეტები.

შეჯიბრებამ, რომელმაც ორგანიზებულად ჩაიარა, ერთხელ კიდევ დაადასტურა სპორტის ამ ვაჟკაცური სახეობისადმი მზარდი ინტერესი.

**თ. ქიქავა.**

* * *

**სურათებზე: შეჯიბრებაში გამარჯვებული „ტურისტის“ გუნდი; შეჯიბრების მონაწილეთა ჯგუფი მარტყოფის გზაზე.**

**ნ. ბაინდურაშვილისა და თ. ქიქავას ფოტოები.**





# ხუთი რგოლის ემბლემით

## ახალი კონკურსი

**პოლონეთის** სახალხო რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციების ინიციატივით შეიქმნა „ოლიმპიური ბანკი-49“, რომელშიც ქვეყნის ყველა 49 სავოევოდო მიიღებს მონაწილეობას. კონკურსის მიზანია პოლონეთში სპორტული მოძრაობის გააქტიურება მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისათვის უკეთ მომზადების მიზნით.

ქვეყანაში დამუშავდა ოლიმპიური თამაშებისათვის მზადების პროგრამა, რომელიც 3 ეტაპისგან შედგება. პირველია — 1978 წ. მეორე — 1979 წ. მესამე ეტაპი შეადგენს პერიოდს — 1980 წლის იანვრიდან ოლიმპიურ სტარტებამდე.

კონკურსის შედეგების შეჯამებისათვის შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც შეაფასებს თითოეული სავოევოდოს ღვაწლს ოლიმპიური პროგრამის შესრულების საქმეში და განსაზღვრავს მათი წარმომადგენლების რაოდენობას პოლონეთის ოლიმპიურ გუნდებში.

## ოლიმპიური მენიუ

**საკმაოდ** ფართო და მდიდარია ოლიმპიური მენიუ, რომელიც გათვალისწინებულია სხვადასხვა კონტინენტის ოლიმპიელთათვის. ოლიმპიურ სოფელში თამაშების მონაწილეთათვის შენდება 4 ათას კაცზე გათვალისწინებული სასადილო (შეგახსენებთ, რომ „სოფელში“ დაახლოებით 12 ათასი კაცი იცხოვრებს), რომელსაც ოთხი დარბაზი ექნება — თითოეულში ათასი კაცი დაეტევა. ოლიმპიელებსაც საერთო ჯამში 1.500 კაცი მოემსახურება. სასადილოს გარდა აქ იქნება კაფე და რესტორანი. ოლიმპიური თამაშების დღეებში სპორტულ ნაგებობებზე მაყურებელთათვის სპეციალურ ბუფეტებში გაიყიდება ტრადიციული გამაგრილებელი წყლები: „ბორჯომი“, „საიანი“, „რუსული ბურახი“, აგრეთვე, „კოკა-კოლა“.

# იუბილეს აღსანიშნავად

### ✦ ცხინვალი

გაიმართა ლენინური კომკავშირის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი შეჯიბრებები.

კომბინირებულ ესტაფეტაში „ქალაქის წრე“ მონაწილეობდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 13 გუნდი. სტარტიდანვე დაწინაურდნენ მე-6 საშუალო სკოლის (ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი ვ. დადიანი) სპორტსმენები და ფინიშის ხაზიც პირველებმა მათ გადაკვეთეს.

ქალაქის სტადიონზე გაიმართა სამხრეთ ოსეთის VII საოლქო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ფეხბურთელთა გუნდების ფინალური მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ჯავისა და წინაგრის (ლენინგორის რაიონი) გუნდები. ანგარიშით 3:0 გაიმარჯვეს ჯაველებმა.

მძლეოსნური კროსის სტარტზე გამოვიდა 100-ზე მეტი მოსწავლე. პროგრამაში იყო 500 (გოგონები) და 1000 (ვაჟები) მეტრზე რბენა. საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა მე-7 საშუალო სკოლის კოლექტივმა.

**ვ. მელქოევი.**

### ✦ გალი

დამთავრდა „კოლმეურნეს“ რაისაბჭოს სპარტაკიადა სპორტის ეროვნულ სახეობებში (ცხენოსნობა, ქართული ჭიდაობა, ლელობურთი, ძალოსანთა კონკურსი), რომელიც ლენინური კომკავშირის მე-60 წლისთავს მიეძღვნა.

სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა აჩიგვარის მეურნეობა-ტექნიკუმის კოლექტივი, II-III ადგილებზე შესაბამისად ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობისა და ოტობაიის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის გუნდები გავიდნენ.

**ი. შუკვანი,**
**სპორტის ოსტატი.**

### ✦ თელავი

ლენინური კომკავშირის მე-60 წლისთავს მიეძღვნა შეჯიბრებები ფეხბურთში, ჭადრაკში, შაშში და წრიულ ამანათრბენში. ფეხბურთელთა შორის უძლიერესი იყო ქალაქის მე-4 საშუალო სკოლის გუნდი. მოშაშეთა ასპარეზობა საყოფაცხოვრებო კომბინატის ხელოსანმა რ. ზურაბაშვილმა მოიგო, მოჭადრაკეთა შორის კი უძლიერესი იყო წყალთა სასისტემო სამმართველოს მთავარი ინჟინერი ტ. მეგრელიშვილი. მძლეოსნურ ამანათრბენში ყველას აჯობა სამშენებლო ტექნიკუმის გუნდმა.

**გ. ელიოზიშვილი.**

### ✦ სამტრედია

ბამბის სართავი ფაბრიკის ფიზკულტურული კოლექტივის პირველობა მინი-ფეხბურთში კომკავშირის 60 წლისთავს მიეძღვნა. მონაწილეობდა 6 კოლექტივი. ტურნირში საუკეთესო გუნდით გამოვიდა მოსამზადებელი საამქროს ნაკრები, რომელმაც გამარჯვება მოიპოვა.

**ი. ნიკოლეიშვილი.**

### ✦ ბორჯომი.

გაიმართა კომკავშირის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი რაიონული პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. საასპარეზოდ გამოვიდა 60-მდე ფალავანი. გუნდური პირველობა ბორჯომის მე-3 საშუალო სკოლის კოლექტივმა დაისაკუთრა. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ა. სილიკიანმა, ა. ბერიძემ, მ. ქურდაძემ, ა. მელქონიანმა, გ. ელისაშვილმა, ზ. გურეშიძემ, თ. გოგნაძემ, თ. მელქიძემ, ა. ქიტიაშვილმა, ი. პლიევმა, გ. მაისურაძემ და დ. ხაჩიძემ.

**ა. ბალხამიშვილი,**
**სპორტის ოსტატი.**

# კალათბურთი

## მეექვსე მოგება

**გასულ** წელს საბჭოთა კავშირის ვაჟთა ნაკრებმა 18 ქულის სხვაობით წააგო აშშ-ს პარდიუს უნივერსიტეტის გუნდთან. ამიტომ იყო, რომ ადგილობრივი ჟურნალისტები მოგებას ახლა კვლავ მასპინძლებს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ...

ჩვენმა გუნდმა კარგად ჩაატარა ოკეანესგაღმა ტურნეს მეშვიდე მატჩიც, რომელიც ქალაქ ლაფეიეტში (ინდიანას შტატი) გაიმართა. უნივერსიტეტელთა გუნდში ორი გიგანტი კალათბურთელი გამოდიოდა — ბ. კაროლინი (216 სმ) და ნ. ბემენდორფი (211 სმ). სწორედ ამის წყალობით მასპინძლები ტაიმის შუაში ათი ქულით დაწინაურდნენ კიდეც, მაგრამ ჩვენმა გუნდმა შეძლო გაეთანაბრებინა ანგარიში და ტაიმიც თავის სასარგებლოდ დაამთავრა — 37:34.

ფინალურ სასტვენამდე ხუთი წუთით ადრე ანგარიში კვლავ თანაბარი იყო. თამაშის ბოლო წუთები საბჭოთა კალათბურთელების უპირატესობით მიმდინარეობდა, რომლებმაც გაიმარჯვეს ანგარიშით 65:61. ყველაზე მეტი ქულა გუნდს შესძინეს ტკაჩენკომ (19) და მიშკინმა (15).

**მოსკოვის** „დინამოს“ კალათბურთელებმა ტაილანდის დედაქალაქში კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი გამართეს ქვეყნის ნაკრებთან და გაიმარჯვეს — 106:70.

**რედაქტორი ა. გასილაია.**

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

ИНДЕКС 66435 — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 13382